ფეხბურთის ფედერაციის თასზე

20 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მორიგი მატჩები.

თბილისის დინამოელები ალმა-ათაში შეხვდნენ ადგილობრივ „კაირატს“ და მარცხი განიცადეს ანგარიშით 2:6. ამასთან, პირველი ტაიმი ჩვენმა გუნდმა გამანადგურებელი ანგარიშით წააგო - 0:5.

20 ივნისს შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის სხვა მატჩებიც: „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) – „დინამო“ (მინსკი) 3:1, „დინამო“ (კიევი) – „ზენიტი“ (ლენინგრადი) 2:2, „შახტიორი“ (დონეცკი) – „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:2, „სპარტაკი“ (მოსკოვი) – „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) – „დინამო“ (მოსკოვი) 1:3, „არარატი“ (ერევანი) – „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) – „ჩერნომორეცი) (ოდესა) 2:1.

22.06.1988